მშობლებთან ერთად განიხილე ანგარიშის გახსნის საკითხი

ესტუმრე რამდენიმე ბანკს, გაეცანი სხვადასხვა ტიპის შემოთავაზებას და ერთმანეთს შეადარე ისინი

გაეცანი სასურველი ანგარიშის ყველა პირობას. ყურადღებით შეავსე განაცხადი და კარგად წაიკითხე ხელშეკრულება. დასვი რაც შეიძლება მეტი შეკითხვა!

განათავსე თანხა ანგარიშზე

თუ ბანკი საგადახდო ბარათს გადმოგცემს, მოაწერე ბარათის უკანა მხარეს ხელი, გააქტიურე და შეცვალე პინ კოდი, შემდეგ კი დახიე ის ფურცელი, რომელზეც პინკოდი იყო მითითებული. დაიმახსოვრე, რომ პინ–კოდი არავის უნდა გაანდო!

თვალყური ადევნე შენს ანგარიშზე თანხების მოძრაობას. თუ უცხო ტრანზაქციებს შენიშნავ, დაუყოვნებლივ აცნობე ბანკს. არავის გაანდო შენი საბანკო ბარათის დეტალები!